

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ფ. ჭყიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„31“ 10 2014 წელი

ეგზ. № 1

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების

ფინანსური აუდიტის ანგარიში *აშ 32/00*

2014 წელი

შინაარსი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში...	3
აუდიტის ობიექტი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
ინფორმაცია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შესახებ	5
აუდიტის მიდგომა	6
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები.....	7
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი.....	8
შენობა-ნაგებობები	8
ორგანიზაციის ხარჯები	11
ძირითადი აქტივები	14
საცნობარო მუხლი.....	15
საბალანსო ანგარიშგების შევსების ხარვეზები.....	16
აუდიტის მოსაზრება.....	18
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში	19
აუდიტის ობიექტი	19
ინფორმაცია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შესახებ	19
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები.....	21
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველები.....	21
შენობა-ნაგებობები	21
ორგანიზაციის ხარჯები	24
საცნობარო მუხლი.....	27
საბალანსო ანგარიშგების შევსების ხარვეზები	28
აუდიტის მოსაზრება.....	30
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება	31
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	48
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	65
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	65

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

აუდიტის ობიექტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2012 წლების ფინანსური ანგარიშგების¹ ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსებს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. კერძოდ: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, აგრეთვე ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული

¹ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება.

ანგარიშგების ფორმების“, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩატარებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ყველა ის ეთიკური მოთხოვნები, რომელთაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე, მათ შორის, აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობის რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონშესაბამისობისა და მართლზომიერების უზრუნველყოფისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული

გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

ინფორმაცია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შესახებ


ახალქალაქის მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და მიმდინარე ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის მონაცემების მიხედვით, შემოსულობებმა შეადგინა 8186.8 ათასი ლარი, რომლის 98,1%-ს შეადგენს შემოსავლები, 1,9%-ს არაფინანსური აქტივების კლება, შემოსავლები მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:

- ✓ გადასახადები - 323.1 ათასი ლარი².
- ✓ გრანტები - 7351. 8 ათასი ლარი.
- ✓ სხვა შემოსავლები - 356.5 ათასი ლარი.

2012 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად:

² 100 % ქონების გადასახადი.



2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 8221.2 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით გადასახდელების 99,7%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 0,3 %³ -ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ფარგლებში 2012 წელს განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები;
- ✓ წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია;
- ✓ გარე-განათების სისტემის მომსახურება და ექსპლოატაცია;
- ✓ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რემონტი.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები, გარდა ამისა, გავითვალისწინეთ:

³ არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი მხოლოდ 0,3%-ს შეადგენს იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსურ აქტივებზე გაწეული ხარჯების დიდი ნაწილი კლასიფიცირებულია „სხვა ხარჯების“ მუხლში.

✓ მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლების საიმედოობა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას;

✓ ჩვენ მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმებით ვერ ხერხდება არსებითი უზუსტობების გამოვლენა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტი არ ფლობს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას ავტორიზაციის სათანადო დონეებით. ზემოთ აღნიშნული მიზეზები მეტყველებს შიდა კონტროლის სისტემის არაეფექტიანობაზე, რის გამოც ვერ ხორციელდება ფინანსური ინფორმაციის საიმედოდ წარდგენა.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული წინასწარი აუდიტორული პროცედურებით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც სუსტი, შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც მაღალი.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია, როგორც სარწმუნო.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს

მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ არაფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ ამორტიზებული აქტივების აღრიცხვა და ჩამოწერა.

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი

შენობა-ნაგებობები

გარემოება 1: ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წელს პრივატიზებულია მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, კერძოდ, ყოფილი სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი შენობების ნაწილი, საბალანსო ღირებულებით - 356.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ პრივატიზებულ შენობა-ნაგებობებზე დარიცხული ცვეთის თანხა 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაზარდი ჯამით შეადგენდა 8.5 ათას ლარს. მიუხედავად იმისა, რომ პრივატიზებული შენობების ღირებულება გამოაკლდა შენობების საერთო ღირებულებას, ცვეთის თანხა არ გამოკლება შემდეგ წლებში იმ შენობა-ნაგებობების ღირებულებას, რომლებიც დარჩა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. შედეგად, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყოფილი სამხედრო ქალაქის შენობა-ნაგებობებზე ნარჩენი ღირებულება დარიცხულია არასწორად, კერძოდ, შემცირებულია 8.5 ათასი ლარით.

გავლენა

საბუღალტრო დოკუმენტებში, პრივატიზებულ შენობა-ნაგებობებზე ექსპლოატაციის პერიოდში დარიცხული ცვეთის ხარჯის შესაბამისი კორექტირების

გარეშე ასახვა, არასწორად წარმოადგენს მთლიანად შენობა-ნაგებობების ღირებულებას (ბალანსის დანართი ფორმა №1 - „ორგანიზაციის ბალანსი, ფორმა №2 - ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ფორმა №3 - „წმინდა ღირებულების ანგარიში“, ფორმა №5 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“).

გარემოება 2: მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის კლასიფიცირებული „არაფინანსური აქტივები“, კერძოდ, „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლში გატარებულია 768.5 ათასი ლარის „გზები და საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები“. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის⁴ და საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით აღნიშნული აქტივები უნდა კლასიფიცირდებოდეს როგორც „შენობა-ნაგებობების“ კატეგორიაში შემავალი აქტივები.

გავლენა

აქტივების არასწორი კლასიფიცირებით (ბალანსის ფორმა №1 - „ორგანიზაციის ბალანსი“, ფორმა №5 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) შენობა-ნაგებობების საერთო ღირებულება შემცირებულია 768.5 ათასი ლარით და იმავე თანხით გაზრდილია „სხვა ძირითადი აქტივების“ ღირებულება.

გარემოება 3: ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით, 2012 წელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება შენობა-ნაგებობა (ჰიგიენის სახლი), რომელიც არ არის შეფასებული და მისი

⁴ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-17 მუხლი.

ღირებულება არაფინანსური აქტივების საბუღალტრო ბარათებში დაფიქსირებულია - 0.0 ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, არაფინანსური აქტივის ღირებულებითი ფასის არქონა გამოწვეულია იმით, რომ აქტივი გადმოცემულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, ხოლო გადმოცემის დოკუმენტებში აქტივის ღირებულება არ იყო დაფიქსირებული.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ღირებულების გარეშე არსებული ქონების ბალანსში აღსარიცხავად, მიზანშეწონილია, რომ განხორციელდეს მიღებული ქონების შეფასება დამოუკიდებელი აუდიტორის მეშვეობით და აქტივები როგორც ბალანსში, ასევე საბუღალტრო დოკუმენტებში აისახოს მათი რეალური ღირებულებით.

გავლენა

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ღირებულების გარეშე არსებული არაფინანსური აქტივების შეუფასებლობის შედეგად, ორგანიზაციის ბალანსში (ბალანსი ფორმა №1 - „ორგანიზაციის ბალანსი“, ფორმა №3 - „წმინდა ღირებულების ანგარიში“, ფორმა №5 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“). არაფინანსური აქტივების მუხლი წარმოდგენილია შემცირებული ღირებულებით.
- ღირებულების გარეშე არსებულ აქტივებს არ ერიცხებათ ცვეთა, შედეგად წლიური ცვეთის ხარჯი ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №5 და ფორმა №2) წარმოდგენილია არასწორად.

გარემოება 4: 2012 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ ბალანსზე აყვანილია არაფინანსური აქტივი (სათხილამურო ტრასა), ღირებულებით 165.0 ათასი ლარი, რომელიც შეძენილია და საკასო ხარჯი გაწეულია 2011 წელს. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ ვერ იქნა არგუმენტირებული, თუ რა მიზეზით განხორციელდა აღნიშნული აქტივის დაგვიანებით ასახვა საბალანსო ანგარიშგებაში.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებით 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი-ფორმა №1) შენობა-ნაგებობების ღირებულება წარმოდგენილია გაზრდილად, 2011 წელს დაურიცხავი ცვეთის თანხით - 7.4 ათასი ლარი⁵.

ორგანიზაციის ხარჯები

გარემოება 1: 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ფაქტობრივი ხარჯები შეადგენს 12470.6 ათას ლარს. დაფიქსირებულ ხარჯებში არასწორად არის გათვალისწინებული ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ცვეთა) ხარჯი 5513.8 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, წლის განმავლობაში არაფინანსურ აქტივებზე დარიცხული ცვეთის ხარჯი შეადგენს 346.4 ათას ლარს. გამომდინარე აღნიშნულიდან, მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლიური ფაქტობრივი ხარჯი დაანგარიშებულია არასწორად.

გავლენა

აღნიშნულის შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“) წლიური ფაქტობრივი ხარჯები გაზრდილია 5167.4 ათასი ლარით.

⁵ სათხილამურო ტრასის ცვეთის ნორმა შეადგენს 4,5 %-ს.

გარემოება 2: მუნიციპალიტეტის ბალანსში, 2012 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით, „ხელფასები ფულადი ფორმით“ დაფიქსირებულია - 1190.5 ათასი ლარი. „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული თანხა მოიცავს, თანამდებობრივ სარგოს - 1074.9 ათას ლარს და პრემიის სახით გაცემულ თანხას - 115.6 ათასი ლარს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებისა“ და საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანამდებობრივი სარგოსა და პრემიის სახით გაცემული თანხები უნდა კლასიფიცირდებოდეს ცალ-ცალკე პუნქტებში. შესაბამისად, თანამდებობრივი სარგოსა და პრემიის სახით გაცემული თანხების მხოლოდ ხელფასებში ასახვა წარმოშობს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული თანხების არასწორ წარდგენას და არ იძლევა სრულ სურათს თუ რისგან შედგება ის.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებით (ბალანსის დანართი ფორმა №2), „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ არ არის წარმოდგენილი თანამდებობრივი სარგოსა და პრემიის სახით გაცემული თანხები.

გარემოება 3: 2012 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტს „სოციალური უზრუნველყოფის მუხლით“, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების სახით გაწეულია 99.8 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, აღნიშნული თანხა შეადგენს ააიპ - „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის“ გაწეულ დაფინანსებას. აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ-ისათვის გაცემული დაფინანსება თავისი არსით სუბსიდიური დაფინანსებაა. აღნიშნულიდან

გამომდინარე, 2012 წელს „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ სახით გაწეული ხარჯი - 99.8 ათასი ლარი, უნდა ასახულიყო „სუბსიდიის“ მუხლში.

გავლენა

გამოვლენილი გარემოების შედეგად, მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“), არასწორად არის გაზრდილი სოციალური დახმარების მუხლით გაწეული 99.8 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სუბსიდიის მუხლით“ გაწეული ხარჯები.

გარემოება 4: 2012 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ „სხვა ხარჯების“ მუხლით გახარჯულია 3774.8 ათასი ლარი (ბალანსის დანართი ფორმა №2). აღნიშნული ხარჯიდან 2346.9 ათასი ლარი გაწეულია ისეთ პროექტებზე, რომლებიც თავისი არსით მიეკუთვნება „არაფინანსური აქტივების ზრდას“. კერძოდ, შესრულებული სამუშაოები ძირითადად მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს (გზების ასფალტობეტონით მოწყობა, წყლის სიტემის რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების სახურავების გამოცვლა და სხვ). შედეგად, 2346.9 ათასი ლარის აქტივები, ნაცვლად „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში კლასიფიცირებისა, გატარებულია „სხვა ხარჯების“ მუხლში, რამაც გამოიწვია მათი ჩამოწერა „მიმდინარე ხარჯებში“.

გავლენა

- არაფინანსური აქტივების ღირებულების ხარჯებში ჩამოწერით შემცირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი არაფინანსური აქტივების მთლიანი ღირებულება (ბალანსის ფორმა №1 - „ორგანიზაციის ბალანსი, ფორმა №2 - „ანგარიში

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ფორმა №3 - „წმინდა ღირებულების ანგარიში“, ფორმა №5 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“).

- შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული ხარჯების - „არაფინანსური აქტივების ზრდის“ ნაცვლად, „სხვა ხარჯების“ მუხლში კლასიფიცირება, ასუსტებს კონტროლს მათ მოძრაობასა და ექსპლოატაციაზე.
- აღნიშნული გარემოებით არასწორად არის გაზრდილი „სხვა ხარჯების“ მუხლი.

ძირითადი აქტივები

გარემოება 1: მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარმოდგენილი „არაფინანსური აქტივების“ მიღების ხარჯი. კერძოდ, მიღებული 307.8 ათასი ლარის აქტივები (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები)⁶ შეძენის ნაცვლად, წარმოდგენილია, როგორც „სხვა ეკონომიკური ნაკადებით“ მიღებული.

გავლენა

შეძენილი აქტივების არასწორი კლასიფიცირებით (ბალანსის დანართი ფორმა №5 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) გაზრდილია „სხვა ეკონომიკური ნაკადებით“ მიღებული აქტივების ღირებულება 307.8 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „შესყიდვით“ მიღებული აქტივების ღირებულება.

⁶ ყოფილი სამხედრო ქალაქის საცხოვრებელი შენობის რემონტი - 154.4 ათასი ლარი, ადმინისტრაციული შენობისა და სპორტული დარბაზის რემონტი, საბავშვო ბაღებისა და სკოლების გაზიფიცირება, სატუმბო სადგურის შეძენა, - 137.0 ათასი ლარი, საბურავების შეძენა - 3.4 ათასი ლარი, მინი სტადიონების მოწყობა - 13.0 ათასი ლარი.

გარემოება 2: ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის კლასიფიცირებული 1.7 ათასი ლარის არაფინანსური აქტივები, კერძოდ, უსასყიდლოდ მიღებული სხვა მანქანა-დანადგარები (საბავშვო სათამაშო მოედანი) წარმოდგენილია, როგორც შეძენილი.

გავლენა

უსასყიდლოდ მიღებული აქტივების არასწორი კლასიფიცირებით (ბალანსის დანართი ფორმა №5 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) გაზრდილია „შეძენით“ მიღებული აქტივების ღირებულება 1.7 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „უსასყიდლოდ“ მიღებული აქტივების ღირებულება.

საცნობარო მუხლი

გარემოება 1: 2012 წლის მონაცემებით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) არაფინანსური აქტივები, საწყისი ღირებულებით - 3654.5 ათასი ლარი. აღნიშნული აქტივები „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათა მიხედვით, კერძოდ, სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) ძირითადი აქტივები, საწყისი (ისტორიული) და არსებითი გაუმჯობესების (გადაფასების) შედეგად განსაზღვრული ღირებულებების მითითებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მის ჩამოწერამდე, უნდა აღირიცხოს ბალანსის საცნობარო მუხლში.

გავლენა

- ექსპლოატაციაში მყოფი ამორტიზირებული არაფინანსური აქტივების საცნობარო მუხლში აღურიცხვიანობით სუსტდება კონტროლი მათ მოძრაობაზე.
- სრულად გაცვეთილი არაფინანსური აქტივების საცნობარო მუხლში არ აღურიცხვა გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების სამართლიან და სწორ წარდგენაზე.

გარემოება 2: 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბუღალტრო დოკუმენტაციის მიხედვით ახალქალაქის მუნიციპალიტეტს გააჩნია 139.3 ათასი ლარის მცირეფასიანი ხანგრძლივი მოხმარების სხვადასხვა სახის საქონელი, რომელიც ხარჯებში ჩამოიწერა ექსპლოატაციაში გასვლისთანავე, ისე, რომ არ აისახა ბალანსის „საცნობარო“ მუხლში.

გავლენა

გამოვლენილი გარემოება ასუსტებს მცირეფასიანი გრძელვადიანი გამოყენების აქტივების მოძრაობაზე კონტროლს, ასევე გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში „საცნობარო მუხლში“ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

საბალანსო ანგარიშგების შევსების ხარვეზები

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი ვალდებულია, ყოველწლიურად შეავსოს ორგანიზაციული ბალანსი თანდართული ფორმებით, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად. აუდიტის პროცესში გამოვლინდა, ორგანიზაციული ბალანსისა და დანართი ფორმების შევსების გარკვეული ხარვეზები, კერძოდ;

2012 წელს „წმინდა ღირებულების ანგარიშის“ (ბალანსის დანართი ფორმა №3) მონაცემებით დებეტის მხარეს, „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში

წარმოდგენილია 5664.5 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა არასწორად არის ასახული, ვინაიდან 5664.5 ათასი ლარი წარმოადგენს არა წლის განმავლობაში დარიცხული ძირითადი კაპიტალის მოხმარების თანხას, არამედ მთლიანად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივების ჯამურ ღირებულებას. გარდა აღნიშნულისა, იმავე ფორმის გრაფაში - „ნაშთი წლის დასაწყისისათვის“, ნაცვლად წმინდა ღირებულების ნაშთისა, მოცემულია ფულად ანგარიშზე არსებული ნაშთი.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ წმინდა ღირებულების ანგარიშის ფორმა შევსებულია არასწორად. შედეგად წმინდა ღირებულების ანგარიშის ფორმაში არსებული, როგორც სადებეტო, ასევე საკრედიტო ნაშთები და ორგანიზაციის ბალანსში (ფორმა №1) ასახული „წმინდა ღირებულების“ ნაშთები არ ემთხვევა ერთმანეთს და წარმოდგენილია განსხვავებულად.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი და შესაბამისი დანართები) შედგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების“ პროექტის მიხედვით.

ბალანსის ფორმა №1-ში 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფულადი სახსრების საწყისი და საბოლოო ნაშთები⁷, რომლებიც ასახული უნდა ყოფილიყო ანგარიშზე 1211 - „საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში“, ასახულია 1212 ანგარიშზე - „სავალუტო ანგარიში ბანკში“.

ბალანსის დანართ ფორმა №2-ში „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის სახით გაწეული ხარჯი 1240.0 ათასი ლარი, ნაცვლად „გრანტების“ მუხლისა ასახულია „პროცენტის“ მუხლში, ხოლო სუბსიდიის სახით გაცემული 1013.1 ათასი ლარის ხარჯი, ნაცვლად „სახელმწიფო

⁷ 2012 წლის ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი შეადგენდა 250.5 ათას ლარს, ხოლო საბოლოო ნაშთი - 242.5 ათას ლარს.

საწარმოებსა და ორგანიზაციების“ პუნქტში ასახვისა, დაფიქსირებულია „კერძო საწარმოებსა და ორგანიზაციების“ პუნქტში.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის ორგანიზაციული ბალანსის დანართი, ფორმა №6 „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“ ნაწარმოებია 2012 წლამდე პერიოდში მოქმედი ძველი №6 ფორმით - „ანგარიში ავტომატური ექსპლოატაციაზე გაწეული ხარჯების მიხედვით“.

გავლენა

ბალანსის დანართი ფორმების არასწორი შევსება უარყოფით გავლენას ახდენს მთლიანი ანგარიშგების სამართლიან და უტყუარად წარდგენაზე.

აუდიტის მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობებით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

1. „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანება.
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“.
3. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

4. „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

5. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

აუდიტის ობიექტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2013 წლების ფინანსური ანგარიშგების⁸ აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსებს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. კერძოდ: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.

ინფორმაცია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შესახებ

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და მიმდინარე ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დამოუკიდებლობა საბიუჯეტო


⁸ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 9941 ათასი ლარი, რომლის 99,6%-ს შეადგენს შემოსავლები, 0,4%-ს - არაფინანსური აქტივების კლება. შემოსავლები მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:

- ✓ გადასახადები - 388.7 ათასი ლარი⁹.
- ✓ გრანტები - 8943.0 ათასი ლარი.
- ✓ სხვა შემოსავლები - 566.2 ათასი ლარი.

2013 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად:



2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 9432.2 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, გადასახდელების 99,6 %-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 0,4 % - არაფინანსური აქტივების ზრდა.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ფარგლებში 2013 წელს განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები;

⁹ 100 % ქონების გადასახადი.

- ✓ წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია;
- ✓ გარე-განათების სისტემის მომსახურება და ექსპლოატაცია;
- ✓ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რემონტი.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ ფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ ამორტიზებული აქტივების აღრიცხვა და ჩამოწერა.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია, როგორც სარწმუნო.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

შენობა-ნაგებობები

გარემოება 1: ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წელს პრივატიზებულია მისსავე საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, კერძოდ, ყოფილი სამხედრო

ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი შენობების ნაწილი, საბალანსო ღირებულებით - 356.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ პრივატიზებულ შენობა-ნაგებობებზე დარიცხული ცვეთის თანხა 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაზარდი ჯამით შეადგენდა 8.5 ათას ლარს. მიუხედავად იმისა, რომ პრივატიზებული შენობების ღირებულება გამოაკლდა შენობების საერთო ღირებულებას, ცვეთის თანხა არ გამოკლება შემდეგ წლებში იმ შენობა-ნაგებობების ღირებულებას, რომლებიც დარჩა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. შედეგად, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყოფილი სამხედრო ქალაქის შენობა-ნაგებობებზე ნარჩენი ღირებულება დარიცხულია არასწორად, კერძოდ, შემცირებულია 8.5 ათასი ლარით.

გავლენა

საბუღალტრო დოკუმენტებში პრივატიზებულ შენობა-ნაგებობებზე ექსპლოატაციის პერიოდში დარიცხული ცვეთის ხარჯის შესაბამისი კორექტირების გარეშე ასახვა, არასწორად წარმოადგენს მთლიანად შენობა-ნაგებობების ღირებულებას (ბალანსი ფორმა №1 - „ორგანიზაციის ბალანსი“, ფორმა №2 - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ფორმა №3 - „წმინდა ღირებულების ანგარიში“, ფორმა №5 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“).

გარემოება 2: მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარმოდგენილი არაფინანსური აქტივების შეძენაზე გაწეული ხარჯი. კერძოდ, მიღებული 103.2 ათასი ლარის აქტივები (არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობა), შეძენის ნაცვლად წარმოდგენილია, როგორც „სხვა ეკონომიკური ნაკადებით“ მიღებული.

გავლენა

შეძენილი აქტივების არასწორი კლასიფიცირებით (ბალანსის დანართი ფორმა №5 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) გაზრდილია „სხვა ეკონომიკური ნაკადებით“ მიღებული აქტივების ღირებულება 103.2 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „შესყიდვით“ მიღებული აქტივების ღირებულება.

გარემოება 3: ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით, 2013 წლებში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება შენობა-ნაგებობა (ჰიგიენის სახლი), რომელიც არ არის შეფასებული და მისი ღირებულება არაფინანსური აქტივების საბუღალტრო ბარათებში დაფიქსირებულია 0.0 ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, არაფინანსური აქტივის ღირებულებითი ფასის არქონა გამოწვეულია იმით, რომ აქტივი გადმოცემულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, ხოლო გადმოცემის დოკუმენტებში აქტივის ღირებულება არ იყო დაფიქსირებული.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ღირებულების გარეშე არსებული ქონების ბალანსში აღრიცხვის მიზნით, მიზანშეწონილია, რომ განხორციელდეს მიღებული ქონების შეფასება დამოუკიდებელი აუდიტორის მეშვეობით და აქტივები როგორც ბალანსში, ასევე საბუღალტრო დოკუმენტებში აისახოს მათი რეალური ღირებულებით.

გავლენა

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ღირებულების გარეშე არსებული არაფინანსური აქტივების შეუფასებლობის შედეგად, ორგანიზაციის ბალანსში (ბალანსი ფორმა №1 - „ორგანიზაციის ბალანსი, ფორმა №3 - „წმინდა ღირებულების ანგარიში“, ფორმა №5 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“). არაფინანსური აქტივების მუხლი წარმოდგენილია შემცირებული ღირებულებით.

- ღირებულების გარეშე არსებულ აქტივებს არ ერიცხებათ ცვეთა, შედეგად წლიური ცვეთის ხარჯი ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №5 და ფორმა №2) წარმოდგენილია არასწორად.

ორგანიზაციის ხარჯები

გარემოება 1: 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ფაქტობრივი ხარჯები შეადგენს 14685.1 ათას ლარს. დაფიქსირებულ ხარჯებში არასწორად არის გათვალისწინებული ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ცვეთა) ხარჯი - 5290.2 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, წლის განმავლობაში არაფინანსურ აქტივებზე დარიცხული ცვეთის ხარჯი შეადგენს 352.5 ათას ლარს. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლიური ფაქტობრივი ხარჯი გაანგარიშებულია არასწორად.

გავლენა

აღნიშნულის შედეგად ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“) წლიური ფაქტობრივი ხარჯები გაზრდილია 4937.7 ათასი ლარით.

გარემოება 2: მუნიციპალიტეტის ბალანსში, 2013 წელს შრომის ანაზღაურების მუხლით - „ხელფასები ფულადი ფორმით“, დაფიქსირებულია 1833.6 ათასი ლარი. შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული თანხა მოიცავს, თანამდებობრივ სარგოს

1500.9 ათას ლარს და პრემიის სახით გაცემულ თანხას - 332.7 ათასი ლარს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებისა“ და საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანამდებობრივი სარგოსა და პრემიის სახით გაცემული თანხები უნდა კლასიფიცირდებოდეს ცალ-ცალკე პუნქტებში. შესაბამისად, თანამდებობრივი სარგოსა და პრემიის სახით გაცემული თანხების მხოლოდ ხელფასებში ასახვა წარმოშობს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული თანხების არასწორ წარდგენას და არ იძლევა სრულ სურათს თუ რისგან შედგება ის.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებით (ბალანსის დანართი ფორმა №2), „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ არ არის წარმოდგენილი თანამდებობრივი სარგოსა და პრემიის სახით გაცემული თანხები.

გარემოება 3: 2013 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება გაწეულია 116.6 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, აღნიშნული თანხა შეადგენს ააიპ - „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის“ გაწეულ დაფინანსებას. აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ-ისათვის გაცემული დაფინანსება თავისი არსით წარმოადგენს სუბსიდიურ დაფინანსებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2013 წელს „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ სახით გაწეული ხარჯი - 116.6 ათასი ლარი, უნდა ასახულიყო „სუბსიდიის“ მუხლში.

გავლენა

გამოვლენილი გარემოების შედეგად, მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“), არასწორად არის გაზრდილი „სოციალური დახმარების“ მუხლით გაწეული 116.6 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სუბსიდიის მუხლით“ გაწეული ხარჯები.

გარემოება 4: 2013 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ „სხვა ხარჯების“ მუხლით გახარჯულია 4164.2 ათასი ლარი (ბალანსის დანართი ფორმა №2). აღნიშნული ხარჯიდან 3708.3 ათასი ლარი გაწეულია ისეთ პროექტებზე, რომლებიც თავისი არსით მიეკუთვნება „არაფინანსური აქტივების ზრდას“. აღნიშნულის შედეგად, 3708.3 ათასი ლარის აქტივები, ნაცვლად „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში კლასიფიცირებისა, გატარებულია „სხვა ხარჯების“ მუხლში, რამაც გამოიწვია მათი ჩამოწერა მიმდინარე ხარჯებში.

გავლენა

არაფინანსური აქტივების ღირებულების ხარჯებში ჩამოწერით შემცირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი არაფინანსური აქტივების მთლიანი ღირებულება (ბალანსი ფორმა №1, ბალანსის დანართი ფორმა №5).

- შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული ხარჯების, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ ნაცვლად, „სხვა ხარჯების“ მუხლში კლასიფიცირება ასუსტებს კონტროლს მათ მოძრაობასა და ექსპლოატაციაზე.
- აღნიშნული გარემოებით არასწორად არის გაზრდილი „სხვა ხარჯების“ მუხლი.

საცნობარო მუხლი

გარემოება 1: 2013 წლის მონაცემებით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) არაფინანსური აქტივები, საწყისი ღირებულებით - 3699.9 ათასი ლარი. აღნიშნული აქტივები „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათა მიხედვით, კერძოდ, სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) ძირითადი აქტივები, საწყისი (ისტორიული) და არსებითი გაუმჯობესების (გადაფასების) შედეგად განსაზღვრული ღირებულებების მითითებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მის ჩამოწერამდე უნდა აღირიცხოს ბალანსის „საცნობარო მუხლში“.

გავლენა

- ექსპლოატაციაში მყოფი ამორტიზებული არაფინანსური აქტივების „საცნობარო მუხლში“ აღურიცხველობით სუსტდება კონტროლი მათ მოძრაობაზე.
- სრულად გაცვეთილი არაფინანსური აქტივების „საცნობარო მუხლში“ არ აღრიცხვა გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების სამართლიან და სწორ წარდგენაზე.

გარემოება 2: 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბუღალტრო დოკუმენტაციის მიხედვით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტს გააჩნია 131.3 ათასი ლარის მცირეფასიანი ხანგრძლივი მოხმარების სხვადასხვა სახის საქონელი, რომელიც ხარჯებში ჩამოიწერა ექსპლოატაციაში გასვლისთანავე, ისე, რომ არ აისახა ბალანსის „საცნობარო მუხლში“.

გავლენა

გამოვლენილი გარემოება ასუსტებს მცირეფასიანი გრძელვადიანი გამოყენების აქტივების მოძრაობაზე კონტროლს, ასევე გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში „საცნობარო მუხლში“ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

საბალანსო ანგარიშგების შევსების ხარვეზები

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი ვალდებულია, ყოველწლიურად შეავსოს ორგანიზაციული ბალანსი თანდართული ფორმებით, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად. აუდიტის პროცესში გამოვლინდა ორგანიზაციული ბალანსისა და დანართი ფორმების შევსების გარკვეული ხარვეზები, კერძოდ;

2013 წელს „წმინდა ღირებულების ანგარიშის“ (ბალანსის დანართი ფორმა №3) მონაცემებით დებეტის მხარეს, „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში წარმოდგენილია 5298.9 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა არასწორად არის ასახული, ვინაიდან 2013 წლის დასაწყისში არაფინანსური აქტივების ჯამური ღირებულება შეადგენდა იმავე თანხას (5298.9 ათასი ლარი). გარდა აღნიშნულისა, იმავე ფორმის გრაფაში „ნაშთი წლის დასაწყისისათვის“, ნაცვლად წმინდა ღირებულების ნაშთისა, მოცემულია ფულად ანგარიშზე არსებული ნაშთი, ხოლო 2013 წელს უსასყიდლოდ გაცემული აქტივები, ღირებულებით - 27.4 ათასი ლარი, შესაბამის გრაფაში საერთოდ არ არის დაფიქსირებული.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ „წმინდა ღირებულების ანგარიშის ფორმა“ შევსებულია არასწორად. შედეგად, „წმინდა ღირებულების ანგარიშის ფორმაში“ არსებული, როგორც სადებეტო, ასევე საკრედიტო ნაშთები და ორგანიზაციის ბალანსში

ასახული „წმინდა ღირებულების“ ნაშთები არ ემთხვევა ერთმანეთს და წარმოდგენილია განსხვავებულად.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი და შესაბამისი დანართები) შედგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების“ პროექტის მიხედვით.

ბალანსის ფორმა №1-ში 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფულადი სახსრების საწყისი და საბოლოო ნაშთები¹⁰, რომლებიც ასახული უნდა ყოფილიყო ანგარიშზე 1211 „საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში“, ასახულია 1212 ანგარიშზე - „სავალუტო ანგარიში ბანკში“.

ბალანსის ფორმა №2-ში - „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, სუბსიდიის სახით გაცემული 1254.4 ათასი ლარის ხარჯი, ნაცვლად „სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციების“ პუნქტში ასახვისა, დაფიქსირებულია „კერძო საწარმოებისა და ორგანიზაციების“ პუნქტში.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის ორგანიზაციული ბალანსის დანართი, ფორმა №6 - „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“, ნაწარმოებია 2012 წლამდე პერიოდში მოქმედი ძველი №6 ფორმით - „ანგარიში ავტომატური ექსპლოატაციაზე გაწეული ხარჯების მიხედვით“.

გავლენა

ბალანსის დანართი ფორმების არასწორი შევსება უარყოფით გავლენას ახდენს მთლიანი ანგარიშგების სამართლიან და უტყუარად წარდგენაზე.

